საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინარული კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია-კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ო. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.09.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 130/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - მ. ბ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ს ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული წარმოების შესახებ დებულებით გათვალიწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ო. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-ს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქმის განხილვის მიზნით ჩანიშნულ პირველ სასამართლო სხდომაზე, საჩივრის ავტორმა მოითხოვა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნა, რის გამოც აღნიშნული სხდომა გადაიდო. ო. მ.-ს, სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნა

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი - მ. ბ., რომლის მითითებით საჩივრის ავტორმა საქმეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ სცნო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი შეჰპირდა, რომ პროკურატურასთან აუცილებლად შედგებოდა საპროცესო შეთანხმება პირობით სასჯელზე. სასამართლო სხდომაზე მ. ბ. პროკურორთან ერთად მივიდა მოსამართლის მაგიდასთან. რამოდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ კი ადვოკატმა უთხრა მას, რომ საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმდა და შეეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ასევე დაადასტურა მოსამართლემ. აღნიშნული სხდომა გადაიდო, ხოლო შემდეგი სხდომის დღეს ადვოკატმა მ. ბ. მას შეატყობინა, რომ იმყოფებოდა შვებულებაში, უნდა მისულიყო სტომატოლოგთან და ამის გამო ვერ დაესწრებოდა სასამართლო პროცესს.

1.4 ო. მ.-ს განმარტებით, ადვოკატმა მ. ბ. არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, ვინაიდან არ გაუწია მას სათანადო იურიდიული დახმარება და კონსულტაცია.

1.5 საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა მ. ბ. 2018 წლის 25 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობით ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 10 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას 2018 წლის 17 ივლისს საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ. შ.-ს განჩინებით დაევალა ო. მ.-ს ინტერესების დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე.

2.3 ადვოკატის განცხადებით, იგი საქმეში ჩაერთო არსებითი განხილვის ეტაპზე. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მხარეებს მტკიცებულებები უდაოდ ჰქონდათ გამოცხადებული, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით ო. მ.-ს ის კონსულტაციას ვეღარ გაუწევდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, როდესაც საქმეში ჩაერთო, საჩივრის ავტორსა და პროკურატურას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. ო. მ.-ს სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება პირობით სასჯელზე, ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუწია სრულყოფილი იურიდიული კონსულტაცია და აღნიშნული მოთხოვნით მიმართა ბრალდების მხარეს.

2.5 მ. ბ. აღნიშნა, რომ მისი მონაწილეობით ორი სასამართლო სხდომა ჩატარდა. პირველი სასამართლო სხდომა, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 30 ივლისს საპროცესო შეთანხმების შესაძლო გაფორმების მოტივით, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო. ბრალდებულს მიეცა გარკვეული ვადა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი

ასანაზღაურებლად, რაც საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად პროკურორის ძირითადი მოთხოვნა იყო. ადვოკატმა განუმარტა საჩივრის ავტორს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა. 2018 წლის 27 აგვისტოს, მეორე სასამართლო სხდომაზე, ო. მ. ადვოკატს გადასცა სანოტარო წესით დამოწმებული ხელწერილი, რომლის მიხედვით ბრალდებულმა სრულად აუნაზღაურა მიყენებული ზიანი დაზარალებულს. ადვოკატმა იშუამადგომლა აღნიშნული ხელწერილის საქმეზე დართვის თაობაზე, რაც მოსამართლემ გაითვალისწინა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ბრალდებულ ო. მ. საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რისი საფუძველიც შესაძლოა ყოფილიყო საჩივრის ავტორის ნასამართლეობა.

2.6 ადვოკატის განცხადებით მისი მხრიდან არ განხორციელებულა ისეთი ქმედება, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ნორმის დარღვევა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ო. მ. ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2018 წლის 19 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. შესაბამისად, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1.-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა არ გაუწია შესაბამისი კონსულტაცია მას, რის გამოც საჩივრის ავტორმა უდავოდ სცნო სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ამასთან ადვოკატმა არაკვალიფიციური წარმომადგენლობა განახორციელა, რომლის შედეგად პროკურატურამ უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).
>
> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

5.3 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას.

5.4 „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 096/11).

5.5 ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება მტკიცებულების უდავოდ აღიარების შესახებ და განმარტა, რომ საქმეში ჩაერთო არსებითი განხილვის ეტაპზე, ო. მ.-ს კი მტკიცებულებები უდავოდ ჰქონდა გახდილი ადვოკატის საქმეში ჩართვამდე. საჩივრის ავტორიც ადასტურებს, რომ ადვოკატი ო. მ. საქმეში ჩაერთო არსებითი განხილვის ეტაპზე. მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, ასევე მტკიცებულებთა უდავოდ ცნობის საკითხი წყდება წინასასამართლო სხდომაზე (საქართველოს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსი, მუხლი 220(გ)). შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სწორედ ადვოკატმა ურჩია კლიენტს მტკიცებულებების უდავოდ ცნობა, რამაც საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარყოფითად იმოქმედა და ამ მხრივ ადვოკატმა არაკვალიფიციური მომსახურება გასწია, რადგან მაშინ როდესაც, ადვოკატის ჩართვა სისხლის სამართლის საქმეში მოხდა (არსებითი განხილვის ეტაპზე), სასამართლოს მიერ უკვე დამტკიცებული იქნებოდა მტკიცებულებათა ნუსხა, რაც მხარეებმა სადავოდ არ გახადეს.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ო. მ.-ს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატად დაენიშნა იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი - მ. ბ.

5.7 საპროცესო კოლეგიამ მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით ასევე გამოარკვია, რომ ადვოკატის უშუალო ჩართულობით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. ამასთან, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატ მ. ბ. საჩივრის ავტორი წარმოადგინა ორ სასამართლო პროცესზე, რომელთაგან ერთი ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო შეთანხმების მიღწევის მიზნით გადაიდო, ხოლო მეორე სხდომაზე ო. მ.-ს პროკურორისგან უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე და მოსამართლემ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება.

5.8 საპროცესო კოლეგია დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად აღნიშნავს, რომ ადვოკატის ქმედებებში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტითაც არ ვლინდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2–ე მუხლით, 31–ე მუხლით, 40.1–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №130/18 ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/